# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ს15

(კლასიფიკატორის კოდი 45400000)

ქ. თბილისი 18.08. 2015 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები და რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/ნ 203860642

**მიმწოდებელი:**
შპს „არქიმანი"
მის: ქ.თბილისი, ვაზისუბნის 1მ/რ მე-16კბ37
სს "საქართველოს ბანკი" ს/ნ 406152194
კოდი: BAGAGE22 ა/ა:GE05BG0000000789410000

2. **ხელშეკრულების ობიექტი და ფასები**

2.1 ხელშეკრულების ობიექტია, **სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის ოთახებისა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის პირველი სართულის სამუშაო ოთახის** სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა: **სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის ოთახებისა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის პირველი სართულის სამუშაო ოთახის სარემონტო სამუშაოები.**

2.3 ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში (იხ.ხარჯთაღრიცხვა) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3300.15** (სამიათასსამასი ლარი და თხუთმეტი თეთრი) **ლარს,** მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის ჩათვლით.

3.3 **შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

3.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.5 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი 2015 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 32; სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (საწყობი).

5. **ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ჯონი მჭედელაძე;

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ჯონი მჭედელაძე.

6. **ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

6.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი

6.5 დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები**

7. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

9.3 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს, რომლის გადახდა მოხდება დამრღვევი მხარის მიერ ამ თანხის გადახდის შესახებ მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში.

9.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

**11. ფორს-მაჟორი**

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზების შესახებ.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**14. გადასახადები და ბაჟები**

14.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

**15. სხვა პირობები**

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი – შემსყიდველთან) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**16. ინტერესთა კონფლიქტი**

16.1 წინამდებარე ხელეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით მისი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება.

**მხარეთა ხელმოწერები:**

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
| გიორგი კაკაურიძე | გრიგოლ გვენეტაძე |
| თავმჯდომარის მოადგილე | დირექტორის მინდობილი პირი |

## სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინიცტრაციულ შენობაში არსებულ სამუშაო ოთახებში ჩასატარებელი სარენემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი | განზომილების ერთეული | როდენობა და მოცულობა | მასალა | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულის ფასი | ჯამი | ერთეულის ფასი | ჯამი | |
| | I. (II სართული ოთახი №208 ) | | | | | | | |
| 1 | კედლების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა იზოგიპსით, დაგრუნტვა) სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად | კვმ | 43.92 | 1.50 | 65.88 | 2.00 | 87.84 | 153.72 |
| 2 | კედლებზე მაღალხარისხოვანი ქაღალდის გაკვრა და შეღებვა (ევროპული წარმოების, ექვემდებარება გაწმენდას-გარეცხვას) ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 50.50 | 4.00 | 202.00 | 2.00 | 101.00 | 303.00 |
| 3 | ფანჯრის ფერდოების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა იზოგიპსით, დაგრუნტვა) სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად | კვმ | 4.00 | 1.50 | 6.00 | 2.00 | 8.00 | 14.00 |
| 4 | ფანჯრის ფერდოების მაღალხარისხოვანი შეღებვა წყალემულსიის საღებავით2-ჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 4.00 | 2.00 | 8.00 | 1.50 | 6.00 | 14.00 |
| 5 | ახალი როზეტების მონტაჟი სამკონტაქტიანი არსებულ ქსელზე დაერთებით | ცალი | 4.00 | 4.00 | 16.00 | 3.00 | 12.00 | 28.00 |
| 6 | ახალი ჩამრთველების მონტაჟი (ერთკლავიშიანი) არსებულ ქსელზე დაერთებით | ცალი | 1.00 | 4.00 | 4.00 | 3.00 | 3.00 | 7.00 |
| 7 | არსებული პარკეტის იატაკის მოხვეწა (ცუკლოვკა) და მაღალხარისხოვანი ერთკომპონენტიანი ზეთოვანი ლაქის წასმა 2-ჯერ | კვმ | 8.93 | 6.00 | 53.58 | 9.00 | 80.37 | 133.95 |
| 8 | ახალი პლასტმასის პლინტუსების მონტაჟი h=6სმ | გ/მ | 11.80 | 1.30 | 15.34 | 0.50 | 5.90 | 21.24 |
| | ჯამი | | | | 370.80 | | | 674.91 |
| | II. (II სართული ოთახი №209 ) | | | | | | | |
| 1 | კედლების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა იზოგიპსით, დაგრუნტვა) სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად | კვმ | 43.15 | 1.50 | 64.73 | 2.00 | 86.30 | 151.03 |
| 2 | კედლებზე მაღალხარისხოვანი ქაღალდის გაკვრა და შეღებვა (ევროპული წარმოების, ექვემდებარება გაწმენდას-გარეცხვას) ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 49.60 | 4.00 | 198.40 | 2.00 | 99.20 | 297.60 |
| 3 | ფანჯრის ფერდოების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა იზოგიპსით, დაგრუნტვა) სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად | კვმ | 4.00 | 1.50 | 6.00 | 2.00 | 8.00 | 14.00 |
| 4 | ფანჯრის ფერდოების მაღალხარისხოვანი შეღებვა წყალემულსიის საღებავით2-ჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 4.00 | 2.00 | 8.00 | 1.50 | 6.00 | 14.00 |
| 5 | ახალი როზეტების მონტაჟი სამკონტაქტიანი არსებულ ქსელზე დაერთებით | ცალი | 4.00 | 4.00 | 16.00 | 3.00 | 12.00 | 28.00 |
| 6 | ახალი ჩამრთველების მონტაჟი (ერთკლავიშიანი) არსებულ ქსელზე დაერთებით | ცალი | 1.00 | 4.00 | 4.00 | 3.00 | 3.00 | 7.00 |
| 7 | არსებული პარკეტის იატაკის მოხვეწა (ცუკლოვკა) და მაღალხარისხოვანი ერთკომპონენტიანი ზეთოვანი ლაქის წასმა 2-ჯერ | კვმ | 8.50 | 6.00 | 51.00 | 9.00 | 76.50 | 127.50 |
| 8 | ახალი პლასტმასის პლინტუსების მონტაჟი h=6სმ | გ/მ | 11.50 | 1.30 | 14.95 | 0.50 | 5.75 | 20.70 |
| | ჯამი | | | | 363.08 | | | 659.83 |
| | III. (II სართული ოთახი №210) | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კედლების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა იზოგიპსით, დაგრუნტვა) სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად | კვმ | 61.82 | 1.50 | 92.73 | 2.00 | 123.64 | 216.37 |
| 2 | კედლებზე ახალი შპალერის გაკვრა (ევროპული წარმოების, ექვემდებარება გაწმენდას-გარეცხვას) ფერი და დიზაინი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 61.82 | 4.00 | 247.28 | 2.00 | 123.64 | 370.92 |
| 3 | ფანჯრის ფერდოების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა იზოგიპსით, დაგრუნტვა) სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად | კვმ | 4.00 | 1.50 | 6.00 | 2.00 | 8.00 | 14.00 |
| 4 | ფანჯრის ფერდოების მაღალხარისხოვანი შეღებვა წყალემულსიის საღებავით2-ჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 4.00 | 2.00 | 8.00 | 1.50 | 6.00 | 14.00 |
| 5 | ახალი როზეტების მონტაჟი სამკონტაქტიანი არსებულ ქსელზე დაერთებით | ცალი | 4.00 | 4.00 | 16.00 | 3.00 | 12.00 | 28.00 |
| 6 | ახალი ჩამრთველების მონტაჟი (ერთკლავიშიანი) არსებულ ქსელზე დაერთებით | ცალი | 1.00 | 4.00 | 4.00 | 3.00 | 3.00 | 7.00 |
| 7 | არსებული პარკეტის იატაკის მოხვეწა (ცუკლოვკა) და მაღალხარისხოვანი ერთკომპონენტიანი ზეთოვანი ლაქის წასმა 2-ჯერ | კვმ | 14.95 | 6.00 | 89.70 | 9.00 | 134.55 | 224.25 |
| 8 | ახალი პლასტმასის პლინტუსების მონტაჟი h=6სმ | გ/მ | 15.70 | 1.30 | 20.41 | 0.50 | 7.85 | 28.26 |
| | ჯამი | | | | 484.12 | | | 902.80 |
| | IV. (I სართული სამუშაო ოთახი) | | | | | | | |
| 1 | კედლების მომზადება (გაფხეკა, დაფითხვნა შეღებვა (ევროპული წარმოების, ექვემდებარება გაწმენდას-გარეცხვას) ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 47.65 | 1.50 | 71.48 | 2.00 | 95.30 | 166.78 |
| | ჯამი | | | | 71.48 | | | 166.78 |
| | ჯამი I+II+III+IV | | | | 1 289.47 | | | 2 404.31 |
| | სატრანსპორტო ხარჯები | | | 3% | | | | 38.68 |
| | ჯამი | | | | | | | 2 442.99 |
| | ზედნადები ხარჯები | | | 8% | | | | 195.44 |
| | ჯამი | | | | | | | 2 638.43 |
| | გეგმიური დაგროვება | | | 6% | | | | 158.31 |
| | ჯამი | | | | | | | 2 796.74 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | | | 0% | | | | 0.00 |
| | ჯამი | | | | | | | 2 796.74 |
| | დ.ღ.გ. | | | 18% | | | | 503.41 |
| | სულ ჯამი: | | | | | | | 3 300.15 |

შპს ,,არქიმანი" დირექტორი ნ.ბაზაძე

40615 2494
GEORGIA, ARCHIMANI LTD

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

04685300294115

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N150821264**

რეგისტრაციის თარიღი

**31.07.2015 წ**

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: 2395715

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდათერთმეტ ივლისს მე, მერაბ ფარჯიკიას ნოტარიუსს ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა შპს "არქიმანი"-ს დამფუძნებელმა და დირექტორმა ნინო ბაზაძემ (თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 406152194 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი ამონაწერის მომზადების თარიღი B15153950, 30/07/2015) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გრიგოლი გვენეტაძეს (დაბადებული 03.09.1970წ. ტყიბულში, პირადი № **41001002996** მისამართი: ქუთაისი გრ.გველესიანის I შეს. N 6) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნინო ბაზაძემ (დაბადებული 13.04.1976წ. საგარეჯოში, პირადი № **60001048594** მისამართი: ქუთაისი გრ.გველესიანის I შეს. N 6) მომმართა. მე შევამოწმე მარწმუნებლის ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მარწმუნებელმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

## მინდობილობა

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდათერთმეტ ივლისს შპს "არქიმანი"-ს დამფუძნებელმა და დირექტორმა ნინო ბაზაძემ რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი", გრიგოლი გვენეტაძეს რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1) რწმუნებული წარმოადგენს შპს "არქიმანი"-ს ყველა იმ მოქმედების შესრულებისას, რომლის განხორციელების უფლებამოსილება აქვს შპს "არქიმანი"-ს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საბანკო დაწესებულებებში, შემოსავლების სამსახურში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაცია დაწესებულებაში, ნებისმიერ საბაჟო სამსახურებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შეასრულოს საბაჟო დეკლარირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (საბაჟო მოსაკრებლის და გადასახადების გადახდა და სხვა საბაჟო პროცედურების შესრულება), ეკონომიკის სამინისტროში, აწარმოოს შესაბამის საქმე საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების სახელით საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში.

2) აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია საზოგადოების სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რასაც საზოგადოების ინტერესებისა და უფლებების დაცვის საჭიროება მოითხოვს. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს ნებისმიერი საბანკო დაწესებულებაში, ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, ჩარიცხვები, გადარიცხვები, კონვერტაცია, მიიღოს ამონაწერები, დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად მიიღოს შპს ფულადი სახსრები, რომელიც განთავსებული აქვს საბანკო დაწესებულებაში.

3) აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია **შპს "არქიმანი"-ს** სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება. რწმუნებული ვალდებულია წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად. რწმუნებული ვალდებულია ამ რწმუნებულებით მინდობილი მოქმედებები შეასრულოს პირადად, დაესწროს შპს კრებას ხმის მიცემის უფლებით, დადოს ხელშეკრულებები და ხელი მოაწეროს მას.

4) წინამდებარე მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

5) აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

6) მინდობილობას თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 406152194 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი ამონაწერის მომზადების თარიღი B15153950, 30/07/2015

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507) 10 (ათი) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითიებული დადგენილებისა.

მიმნდობის ხელმოწერა: ---------- ნინო ბაზაძე ----------

ნოტარიუსი

მერაბ ფარჯიკია